ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა და თავისუფლება. ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას.

# ამხანაგებო!

დგება ხალხის წარმომადგენელთა არჩევნების დრო. ახლოვდება გადამწყვეტი დღე საყოველთაო დამფუძნებელი კრების მოწვევისა, დღე დიდი სიმართლისა და შემოქმედებისა. ჩვენი სამშობლო თავის არჩეულების მეოხებით აპირებს თავისი და მთელი მშრომელი რუსეთის ბედის გამოჭედვას. იგი დასწერს მტკიცე კანონებს რესპუბლიკის შესახებ, ის დაამყარებს შეურყეველ წესებს მიწათმფლობელობისას, ყვ ლა ეს გაკეთდება ერთხელ და მრავალ წლებისთვის.

არ ყოფილა ჯერ აქამდის რუსეთში ამნაირი დიადი დრო, დრო ამგვარი დიდი და სერიოზული პასუხისმგებისა.

ყოველმა თავისუფალმა მოქალაქემ თავისუფალი რუსეთისამ უნდა მთელი თავისი ძალა და გონიერება მოიკრიბოს, რომ მხნეთ შეასრულოს თავისი მოქალაქობრივი ვალი სამშობლოს წინაშე, რომ შეგნებით აირჩიოს ისინი, ვინც სწორე გზას გვერდს არ აუხვევს და მტკიცედ დაიცავს მშრომელთა ინტერესებს.

არავინ არ უნდა მოარიდოს თავი არჩევნებს!

ყველა ვალდებულია მოფიქრებით მისცეს ხმა ამა თუ იმ კანდიდატს.

თვითეულმა კაცმა იმ პარტიას უნდა მისცეს ხმა, რომელიც ყველაზედ მტკიცედ იცავს მშრომელთა საჭიროებებს.

ყველამ უნდა **სოციალისტ-რევოლიუციონერები** აირჩიოს. ამ პარტიამ ყველაზედ ადრე, ყველაზედ მტკიცეთ და მკაცრ ად დაიწყო ბრძოლა მეფეების წინააღმდეგ. ეს პარტია არ ინდობდა თავის წევრებს და სასიკვდილოთ გზავნიდა, როდესაც საჭირო იყო თავისუფლებისაკენ გზის გაკაფვა. პირველ ხანებში ეს პარტია მცირე იყო წევრთა რიცხვით, მაგრამ სულით ძლიერი იყო და დაუფიქრებლივ თავ-გადადებით მიდიოდა სარჩობელაზედ და კატორგაში.

უკვე რამდენიმე ათეულმა წევრმა განვლო მას შემდეგ, რაც ამ პარტიამ თავის დროშაზედ დასწერა დიადი სიტყვები: **მიწა და თავისუფლება** და უცვლელად, უკან დაუხევლად მიდიოდა ამ დროშის ქვეშ. იგი მოუწოდებდა და ეხლაც მოუწოდებს მშრომელთ ამ წითელი დროშის ქვეშ მოიყარონ თავი, რომელზედაც ანთია ოქროს სიტყვები, როგორც თვალის მომჭრელი აპრიალებული ალი, რომელშიაც მრავალი სახელოვანი მებრძოლი დაიწვა ხალხის საჭიროებისა და ხალხის ბედნიერებისათვის.

**სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია** არ უღალატებს მიწას და თავისუფლებას, რადგანაც მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად არსებობდა იგი ყოველთვის და მთელი მისი პროგრამმა გამომდინარეობს მთელი მიწის—მთელი მშრომელი ხალხისთვის და მისთვისვე მთელი თავისუფლების მოთხოვნიდან. ეს პარტია არასოდეს არ შეუცვლია თავისი პროგრამმა დროის მოთხოვნილების დაგვარად და არ უღალატნია მისთვის.

**სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია** ამ ოცდა ათი წლის წინადაც ამბობდა და ეხლაც იმეორებს, რომ მიწა არ უნდა იყოს ვაჭრობის საგანი, რომ არც მისი გაყიდვა შეიძლება და არც ყიდვა, როგორც საქონლისა ან რამმე საგნისა. მიწა არ უნდა იყვეს არავისი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრება. მიწა მთელი ხალხის საკუთრებაა. მითი სარგებლობა შეუძლიან იმას, ვინც მიწაზედ მუშაობს. აი ამიტომ არის პარტიის პროგრამაში ჩაწერილი, რომ საჭიროა ყველა საბატონო (მემამულეების) სახაზინო, საუფლისწულო და სხვა მიწების კონფისკაცია (ჩამორთმევა) და ხალხის საყოველთაო საკუთრებად გამოცხადება.

დამფუძნებელ კრებაზე დაც **სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტია** მხარს დაუჭერს კერძო საკუთრების მოსპობას ყოველ-მიწისას. მემამულეები არ უნდა იყვნენ. იმათი მიწა მოხმარდება მშრომელი მიწის მუშათა სახნავ-სათესის გაფართოებას. გლეხების მიწები კი ხელუხლებელი დარჩება. ვინც როგორ ხმარობდა თავის მიწას ისევე მოიხმარებს. მხოლოდ ერთ რამეს კი უეჭველად განახორციელებენ **სოციალისტ-რევოლიუციონერები**: რომ მიწის მოხმარება იყოს შრომითი, რომ გლეხების მიწის ყიდვა-გაყიდვა, ან დაგირავება, როგორც ყველა სხვა მიწისაც, აკრძალული იყვეს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში მიწა მშრომელ გლეხობას ხელიდან წაუვა და გადავა მდიდრების და ჩარჩების ხელში.

**სოციალისტ-რევოლიუციონერები** მტკიცედ დაიცავენ თავის სადგილ-მამულო პროგრამას, რომელიც მოკლედ შემდეგშიდ მდგომარეობს: მიწა საყოველთაო კუთვნილებას შეადგენს. მიწა—საქონელი არ არის და მითი ვაჭრობა არ იქნება. მიწას უნდა ხმარობდეს მხოლოდ მშრომელნი იმ პირობებით, რა პირობებსაც ისინი თვითონ შეიმუშავებენ თავისთვის. ადგილ-მამულის პატრონი მთელი ხალხი უნდა იყოს. მიწა უნდა იყოს დემოკრატიულად მოწყობილ ადგილობრივ სადგილ-მამულო კომიტეტების ხელში. მხოლოდ ამ პირობებში დაიხსნიან თავს მიწის მუშები მონობისაგან და ქვეყანა განვითარების გზას დაადგება.

მხოლოდ ამ პირობებში მიწის მუშები მიიღებენ მიწასაც და თავისუფლებისაც წარმოუდგენელია, თუ მიწა არ იქნება თავისუფალი. თავისუფლებაც უმიწოდ არ იქნება ისე როგორც მიწა უთავისუფლებოდ.

ყოველმა თავისუფალმა მოქალაქემ თავისუფალი რუსეთისამ, თუ მას სურს ნამდვილი თავისუფლება, თუ მას სურს მიღება-დამკვიდრება მიწისა და თავისუფლებისა, დამფუძნებელ კრებაზე უნდა გაგზავნოს **სოციალისტ-რევოლიუციონერები**, როგორც შეუდრეკელი მებრძოლნი მიწისა და თავისუფლებისათვის.

ამხანაგებო, მიწისა და სოფლის შვილნო! იფიქრეთ, შეადარეთ **სოციალისტ-რევოლიუციონერების** პროგრამა სხვა პარტიების პროგრამებს. ნუ გაგიტაცებთ სიტყვების რახარუხი და მათი სილამაზე, რომელნიც მხოლოდ ეხლა არიან მოგონილნი, რომელნიც წინად სულ სხვანაირნი იყვნენ! დააფასეთ უცვლელობა ლოზუნგის **„მიწა და თავისუფლება“**, ამ ლოზუნგით სცოცხლობს თავის არსებობის დასაბამიდანვე **სოციალისტ-რევოლიუციონერთა** პარტია! ეს პარტია, რომელიც ეხლა რუსეთში უდიდეს და უძლიერეს პარტიად გადაიქცა, დაამყარებს დამფუძნებელ კრებაზე **მიწასაც და თავისუფლებასაც**. ნუ შეკრთებით და უყოყმანოდ მიეცით ხმა ამ პარტიას.

სოციალისტ-რევოლიუციონერ პარტიას!
მთელ მშრომელ ხალხს!
მშრომელ გლეხობას!
მიწის მუშების ბედნიერებისათვის!
მიწისა და თავისუფლებისათვის:

---

# მიეცით მაშ ხმა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის სიას ნომერს 3.